საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი 25 ივლისი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:</u>
თია მელაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი.

<u>სატენდერო კომისიის წევრები:</u>
ნინო ფოდიაშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
დავით სამთელაძე - სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
სოფიკო ვაჩეიშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
თენგიზ ხანიაშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე;
რატი მემანიშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ბაზრის შესწავლის, დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი.

<u>სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული სპეციალისტი:</u>
მიხეილ ახვლედიანი - სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი;

<u>სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:</u>
ილია აფციაური - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
გიორგი ჭანკოტაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:
2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, ქ. თბილისში, გულუას ქ.N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2018 წლის 12 ივლისს გამოცხადებულ **NAT180010729** აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში, პრეტენდენტის მიერ დასმული შეკითხვის და ამავე ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების ცვლილების საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა, გიორგი ჭანკოტაძემ სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ 2018 წლის 25 ივლისს პრეტენდენტის მიერ **NAT180010729** აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში დაისვა შეკითხვა, რომლის მიხედვით, პრეტენდენტი განმარტავს, რომ მასალის შესყიდვა ძირითადად ხდება უცხოეთიდან, რისთვისაც აუცილებელია თანხის გადარიცხვა, შესაბამისად გამოთქვამს რეკომენდაციას, რომ ტენდერში ავანსის ოდენობად განისაზღვროს სულ მცირე 50%-ით. ამასთან მიმწოდებელი ითხოვს დაზუსტდეს ტენდერში მოთხოვნილი იქნება თუ არა ნიმუშების წარმოდგენა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ვადაში.

განიხილეს:
პრეტენდენტის მიერ დასმული შეკითხვის განხილვისას, სატენდერო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის სამუშაოების (CPV - CPV45400000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2018 წლის 12 ივლისს გამოცხადებული **NAT180010729** აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერში კონკურენციის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია, წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა ნაცვლად 35 %-ისა განისაზღვროს 50%-ის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო განცხადების 7.1.1.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
7.1.1.1 წინამდებარე ტენდერში გამოყენებული იქნება წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი), ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა 90 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას)".

სატენდერო კომისიაზე ასევე აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2018 წლის N1609446 და N1655072 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით ტენდერში გათვალისწინებული იქნას ნიმუშების წარმოდგენის აუცილებლობა. კერძოდ:

მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში პრეტენდენტმა შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული პროფილის ნიმუშები და აქსესუარები (საკეტის, სახელურის, შემამჭიდროვებელი რეზინის, ფანჯრის შემთხვევაში გამღები მექანიზმი).

ამასთან, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული მასალების მწარმოებელი ფირმ(ებ)ის ზუსტი დასახელება.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს დაზუსტებული სატენდერო განცხადებისა და დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი;
2. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
3. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
4. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის N1 ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით, ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით (https://teders.procurement.gov.ge).

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე	თ. მელაძე
კომისიის წევრი	ნ. ფოდიაშვილი
კომისიის წევრი	დ. სამთელაძე
კომისიის წევრი	ს. ვაჩეიშვილი
კომისიის წევრი	თ. ხანიაშვილი
კომისიის წევრი	რ. მემანიშვილი
მოწვეული სპეციალისტი	მ. ახვლედიანი
აპარატის წევრი	ი. აფციაური
აპარატის წევრი	გ. ჭანკოტაძე